

ინფორმაცია

ინდოეთში ICISA-ს (International Center for Information Technologies and Audit)
ორგანიზებით ჩატარებული სემინარის შესახებ

2010 წლის 11 სექტემბერიდან 9 ოქტომბრამდე ინდოეთის დედაქალაქ დელიში ICISA-ს (International Center for Information Technologies and Audit) ორგანიზებით გაიმართა სემინარი თემაზე: ეფექტიანობის აუდიტი. სემინარის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ: სუნილ ქეი ბაჰრი - ICISA-ს გენერალური დირექტორი და სანტოშ კუმარ - ICISA-ს დირექტორი.

სემინარი გაიხსნა ქ. დელიში, ინდოეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს (Comptroller and Auditor General of India – CAG) სათავე ოფისში. სიტყვით გამოვიდა და სემინარის მონაწილეებს მიმართა გენერალურმა აუდიტორმა ვინოდ რაიმ. მან აღნიშნა ინდოეთის საჯარო აუდიტის სფეროში მიღწეული შედეგები და ყურადღება გაამახვილა ეფექტიანობის აუდიტის მნიშვნელობაზე და ამ სფეროს განვითარებაში ინდოეთის წვლილსა და კონტრიბუციაზე. ოფიციალური ვახშმის შემდეგ ჯგუფმა გადაინაცვლა ICISA-ის ცენტრში, სადაც გაიმართა სასწავლო პროგრამის პრეზენტაცია, შედგა განრიგი და შეთანხმდა შემდგომში განსახილველი საკითხები.

სემინარი მიმდინარეობდა ოთხი კვირის განმავლობაში და სასწავლო პროგრამა იყო საკმაოდ ვრცელი და მრავალმხრივი.

ეფექტიანობის აუდიტის კურსი მოიცავდა შემდგომ ქვეთავებს:

1. უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მანდატი, აუდიტის ორგანიზება და მეთოდოლოგია.
2. ეფექტიანობის აუდიტის პროცესი - მთავარი საკითხების მიმოხილვა, ძირითადი პრობლემები და გამოწვევები.
3. აუდიტის ობიექტის საქმიანობის და საოპერაციო გარემოს შესწავლა.
4. აუდიტის ობიექტის მიზნების განსაზღვრა და მთავარი პრობლემების იდენტიფიცირება.
5. ეფექტიანობის აუდიტის სტრატეგიული დაგეგმვა - მიდგომები და პროცედურები.
6. რისკის შეფასება და არსებითობის მცნება.
7. საუკეთესო გამოცდილების (Benchmark) მეთოდი, შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრა.
8. სტატისტიკური შერჩევა და მოდელეები.
9. აუდიტის მიერ გამოვლენილი სისუსტეები და შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავება.
10. აუდიტის ობიექტის შედეგიანობის შეფასება და რეკომენდაციების დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგი. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

11. შედეგების კომუნიკაცია საზოგადოებისა და პარლამენტისთვის.
12. ფართოდ გამოყენებული საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული პროგრამები აუდიტის პროცესში და მათი მნიშვნელობა.
13. ქვეყნისა და უმაღლესი აუდიტორული ორგანოს პრეზენტაცია.

სემინარში მონაწილე ქვეყნები და ორგანიზაციები.

სემინარში მონაწილეობა მიიღო 35 ქვეყნის 44 წარმომადგენელმა. მათ შორის, ჩვენი მეზობლები და პარტნიორები: აზერბაიჯანი, თურქეთი, უკრაინა, მოლდავეთი, ლიტვა, ესტონეთი, უნგრეთი. დანარჩენი ქვეყნები წარმოდგენილი იყო ახლო აღმოსავლეთიდან, აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან. აღსანიშნავია, რომ სემინარში მონაწილეობა არ მიუღია დიდი რვიანის არც ერთ ქვეყანას.

სემინარში მონაწილეობდნენ როგორც უმაღლესი აუდიტორული ორგანოს წარმომადგენლები, ასევე ICISA-ის ინსტრუქტორები. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული ინსტიტუტი (ICISA) ქვეყნის მასშტაბით ამზადებს აუდიტორ-ინსტრუქტორებს, რომლებიც შესაბამისი გადამზადების შემდეგ უძღვებიან აუდიტის პროექტებს მთელს ინდოეთში. აღსანიშნავია, რომ ინდოეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანოში დასაქმებულია 50 ათასზე მეტი თანამშრომელი. სემინარის მონაწილეებს შეხვდნენ ინდოეთის CAG-ის წამყვანი სპეციალისტები.

დღის წესრიგით წამოჭრილი საკითხების სპეციფიკა, მათი მნიშვნელობა და არსი.

ეფექტიანობის აუდიტის პროცესი მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც ასევე წარმოადგენს ფინანსური ან შესაბამისობის აუდიტის მნიშვნელოვან კომპონენტებს. მაგალითად, სტრატეგიული დაგეგმვა, შესაბამისი და საჭირო ინფორმაციის მოპოვება, თაღლითური ოპერაციების გამოვლენა, სტატისტიკური შერჩევა, ანგარიშის წარმოდგენა, რეკომენდაციის შემუშავება.

სემინარზე ყურადღება დაეთმო ყველა კომპონენტს, როგორც ეფექტიანობის აუდიტის ერთი სრული, მთლიანი პროცესის შემადგენელ ნაწილს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია საკითხები, რომლებიც უშუალოდ ეხება ეფექტიანობის აუდიტს, ხსნის მის არსს და აუდიტის ჩატარების ტექნიკურ და მეთოდურ მნიშვნელობას.

ინდოეთში მოქმედი ეფექტიანობის აუდიტის მეთოდოლოგია არის ბრიტანული მოდელიდან ნასესხები, იგი მოიცავს აუდიტის ჩატარების შემდეგ ტექნიკას.

1. პრობლემის იდენტიფიცირება (ISSUE ANALYSES)

აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესწავლა და მისი მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. გადამწყვეტი და პრობლემატური საკითხები, რისკ-

ფაქტორების განსაზღვრა.

2. აუდიტის მნიშვნელოვანი თემების შემუშავება (THEME DESIGN)

აუდიტის თემა შესაძლებელია გამომდინარეობდეს და იყოს დაფუძნებული როგორც ობიექტის საქმიანობის შესწავლიდან გამოვლენილ რისკ-ფაქტორებზე, ასევე პოლიტიკურ მოტივებზე, ოპერატიულ ინფორმაციაზე, მასმედიაზე, საზოგადოებრივ გამოკითხვაზე, არასამთავრობო და საერთაშორისო ინსტიტუტების ანგარიშებსა და მოხსენებებზე.

3. აუდიტის თემებიდან გამომდინარე, განისაზღვრება აუდიტის მიზნები (AUDIT OBJECTIVES) და შესაბამისი თანდართული კითხვები.

4. შემდეგ დგება ეფექტიანობის აუდიტის კითხვარი ქვემოთ მოყვანილი ფორმით. მისი სტრუქტურა და შინაარსი საკმაოდ მარტივია, მოსახერხებელი და ასახავს აუდიტის პროცესის ყველა მნიშვნელოვან კომპონენტს. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ერთგვარი ნიმუშია და რეკომენდირებულია ის გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროექტში, თუმცა შინაარსი, კითხვების რაოდენობა და იერარქია დამოკიდებული იქნება თითოეული პროექტის სირთულესა და საქმიანობის სპეციფიკაზე. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ობიექტის საქმიანობის სფეროდან და მასშტაბიდან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს აუდიტის ორი ან მეტი თემა.

იხ. მკითხვარის სტრუქტურა:

თემა 1					
აუდიტის მიზანი	ქვე-კითხვა 1	ქვე-კითხვა 2	არსებული შედეგი (კონდიცია)	სტანდარტი (საუკეთესო პრაქტიკა)	განსხვავება
1	2		3	4	5
მიზანი 1	კითხვა 1.1	კითხვა 1.1.1	A	B	= A - B
		კითხვა 1.1.2	C	D	= C - D
	კითხვა 1.2	კითხვა 1.2.1			
		კითხვა 1.2.2			
მიზანი 2	კითხვა 2.1	კითხვა 2.1.1			
		კითხვა 2.1.2			
	კითხვა 2.2	კითხვა 2.2.1			
		კითხვა 2.2.2			

დასკვნა და რეკომენდაცია

განსხვავება	გამომწვევი მიზეზი	შედეგი	დასკვნა	რეკომენდაცია
5	6	7	8	9

განმარტებები :

1. კონკრეტული თემიდან გამომდინარე, განისაზღვრება აუდიტის მიზნები. ამ მიზნების მისაღწევად, საჭიროა კითხვებისა და ქვეკითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა.
2. კითხვარის დგება კითხვების დონეების მიხედვით. პირველ მთავარ კითხვას მოსდევს შემდეგი ქვეკითხვები, რომელთა მიზანია მთავარ კითხვაზე ამომწურავი და კორექტული პასუხის მიღება.
3. დასმულ კითხვებზე მიღებული პასუხები და აღმოჩენები.
4. სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტი. სტანდარტის არარსებობის შემთხვევაში, საუკეთესო პრაქტიკა ან პროფესიონალური და გონივრული მსჯელობის შედეგად განსაზღვრული ნორმა.
5. აუდიტის შედეგად გამოვლენილი განსხვავება სტანდარტს ან/და საუკეთესო პრაქტიკასა და რეალურ შედეგს შორის (დარღვევა).
6. აუდიტის შედეგად გამოვლენილი განსხვავების (დარღვევის) მიზეზი.
7. დარღვევის შედეგად მიყენებული მთლიანი ზარალის ოდენობა.
8. ეფექტიანობის აუდიტის ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა.
9. აუდიტის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია.

ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების ტექნიკა და მიდგომები.

უნდა აღინიშნოს, რომ სემინარში მონაწილე ქვეყნებში არ გამოიკვეთა ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების ერთი და იგივე სტანდარტი და მეთოდოლოგია. თითოეული ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მუშაობისა და მიდგომების გაცნობისას შესამჩნევი და ყურადსაღები იყო ეფექტიანობის აუდიტის ჩატარებისა და ორგანიზების მრავალფეროვნება. მათ უმრავლესობას შემუშავებული აქვს საკუთარი მიდგომები და ყოველივე ამას ხსნიან საკუთარ ქვეყანაში საჯარო ფინანსების მართვის კუთხით არსებული განსხვავებული კანონმდებლობით.

ეფექტიანობის აუდიტისათვის პასუხისმგებელი ცალკე სტრუქტურული ერთეულის მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის პარალელურად. ცალკე, დამოუკიდებლად ჩატარებული ეფექტიანობის აუდიტის პროექტების რაოდენობა საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა.

ასე მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო პროგრამები და სოციალური სქემები ხორციელდება სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით და სადაც პროცედურული ნაწილი დადგენილი და გაწერილია, ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება ხდება შესაბამისობის აუდიტის ფარგლებში, ხოლო სხვა უფრო რთულ და არასტანდარტულ შემთხვევებში ინიცირებული ეფექტიანობის აუდიტი საბოლოოდ

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტებსაც მოიცავს.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კონტროლის პალატის სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აუდიტორი ირაკლი წიწილაშვილი.